ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №28

29 მარტი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
6. დავით რურუა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03190737-03; 14.03.2019);

2. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03190737-03; 14.03.2019);

3. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019)

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) (მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019);

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებელი:

- **მერაბ მამულაშვილი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - განსახილველი პროექტებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, ცვლილებების საფუძველზე, 9 აპრილს დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრები, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირები და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფი დამხმარეები უფასოდ იმგზავრებენ M_3 კატეგორიის და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით. ასევე შეღავათიანი (0,2 ლარიანი) ტარიფით იმგზავრებენ გარკვეული კატეგორიის პირები. ამასთანავე „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების დამტკიცების თაობაზე“ თბილისის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ ქუჩების ჩამონათვალს ემატება 12 ქუჩა სადაც მგზავრების ჩამოსმა-აყვანა სავალდებულო იქნება მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე. გარდა ამისა წარმოდგენილია დადგენილების ახალი პროექტი, რომლითაც განისაზღვრება საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილები.

ვ.აბულაძე - წარმოგიდგენთ საკრებულოს დადგენილების პროექტს „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტის თანახმად, დადგენილების სათაური ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

ცვლილების შედეგად, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ავტობუსებით (M_3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებს:

- თბილისში რეგისტრირებულ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირებს და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე ნებისმიერ პირს, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე უსინათლო პირთა გამცილებლებს.

- თბილისში რეგისტრირებულ 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებს.

ასევე, პროექტი ითვალისწინებს შეღავათიანი მგზავრობის 0,2 ლარიანი ტარიფით მგზავრობის უფლების მინიჭებას გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის. კერძოდ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის (ფილიალის), თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის, მთლიანობაში 86 თანამშრომლისთვის.

შ.ოგბაიძე - თბილისში რეგისტრირებული 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული სამგზავრო ბარათები იქნება თუ არა განპიროვნებული.

ბ.აბულაძე - დიახ, აღნიშნული ბარათები იქნება განპიროვნებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

2. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03190737-03; 14.03.2019)

ვ.აბულაძე - №6-25 დადგენილებაში ცვლილებები ძირითადად გამომდინარეობს 20-81 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებიდან და არის ტექნიკური ხასიათის.

პროექტის თანახმად, დადგენილების სათაური ყალიბდება ახალი რედაქციით: „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 5 ივლისს შეტანილი ცვლილებებით გაუქმდა განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე კულტურისა და სპორტის სამინისტროები და შეიქმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. გაუქმდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, აგრეთვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები და შეიქმნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შესაბამისად, დადგენილებაში სადაც აღნიშნული იყო სამინისტროების ძველი დასახელებები, პროექტის მიხედვით, მითითებული იქნება ახალი დასახელებები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-18 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, რეორგანიზაციის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს ეწოდა თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. შესაბამისად, დადგენილებაში შედის ტექნიკური სახის ცვლილება და საქალაქო სამსახურის ძველი დასახელება იცვლება ახალი დასახელებით.

წარმოდგენილი პროექტით, დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ჩამოყალიბებული პირველი მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უკვე განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტის გარდა, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე სხვა კატეგორიების მოქალაქეთათვის ბარათების გაცემა უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა. ამავე დროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების მოქმედი რედაქციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით დადგენილი უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობა, სხვა პირობებთან ერთად, ხორციელდება *ამ დადგენილების ამოქმედებამდე სამართლებრივი აქტების შესაბამისად გაცემული სამგზავრო პლასტიკური ბარათების მეშვეობით.* აღნიშნული ჩანაწერის არსებობა განპირობებული იყო იმით, რომ მოცემული შეღავათით მოსარგებლე არაერთი კატეგორიის მოქალაქეზე უფასო/შეღავათიანი მგზავრობის ბარათების გაცემა

დაწყებული იყო ჯერ კიდევ 2007-2009 წლებში ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებების, დედაქალაქის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის №6-35 და 2012 წლის 27 ივლისის №8-30 გადაწყვეტილების შესაბამისად და ამ სამართლებრივი აქტების მიღებიდან განვლილი პერიოდის გათვალისწინებით ჩანაწერმა აქტუალობა დაკარგა, რის გამოც იგი ამოსაღებია საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების პირველი მუხლიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019**)

ვ.აბულაძე - აღნიშნული პროექტი წარმოადგენს სიახლეს. რომლის თანახმად მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №19.353.476 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილები, დანართის შესაბამისად.

მოქმედი რეგულაციის მიხედვით, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების დანართი №1-ით

განსაზღვრულია ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები, ხოლო დანართი №2-ით M_2 კატეგორიის მარშრუტებზე სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისთვის დადგენილი M_3 კატეგორიის ავტობუსის გაჩერების ადგილმდებარეობები.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მოხდა დანართი №2-ის გამოყოფა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებისგან და გახდა წარმოდგენილი დადგენილების დანართი.

დღეის მდგომარეობით განსაზღვრულია 14 ქუჩა სადაც მგზავრების ჩამოსმა-აყვანა სავალდებულოა მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე, პროექტის მიხედვით ამ 14 ქუჩას ემატება შემდეგი 12 ქუჩა: ქეთევან დედოფლის გამზირი, აკაკი წერეთლის გამზირი, ცოტნე დადიანის ქუჩა, დავით გურამიშვილის გამზირი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, ჯავახეთის ქუჩა, სულხან ცინცაძის ქუჩა, თამარ მეფის გამზირი, ვაჟა ჩაჩავას ქუჩა, აწყურის ქუჩა.

შ.ოგბაიძე - რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი ავტობუსები დაექვემდებარებიან თუ არა შეზღუდვას გაჩერებებზე გაჩერების შესახებ.

ვ.აბულაძე - თბილისის ტერიტორიაზე ჩვენ ვადგენთ სად უნდა იმოძრაონ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავმა ავტობუსებმა, შესაბამისად დაექვემდებარება აკრძალვას.

თ.ისაკაძე - კომისიას აქვს რამდენიმე ტექნიკური სახის შენიშვნა დადგენილების დანართთან დაკავშირებით:

- ილია ჭავჭავაძის გამზირი “ 49ა-ს მიმდებარედ (ვაკის საცურაო აუზის მიმდებარედ) გაჩერება დანართში ორჯერ არის მოცემული, რაც უნდა გასწორდეს. ამასთან, ტექსტში ,,მიდებარედ“ ნაცვლად უნდა მიეთითოს მიმდებარედ. ანალოგიური სახის კორექტირებას საჭიროებს ილია ჭავჭავაძის გამზირი “ 54-ში (ლადო კავსაძის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ) მდებარე გაჩერება;
- წალინჯიხის ქუჩის ნაცვლად უნდა მიეთითოს წალენჯიხის ქუჩა;
- მ/ს „ვარკეთილი"-ის მოპირდაპირედ ნაცვლად უნდა მიეთითოს - მ/ს ,,ვარკეთილის“ მოპირდაპირედ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტი (12-031908716-03, 28.03.19) მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019)

ვ.აბულაძე - დადგენილების პროექტის მიხედვით, დადგენილებიდან ამოღებულია 1^1 პუნქტი და შესაბამისად, დანართი №2 (M_2 კატეგორიის მარშრუტებზე, სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისთვის დადგენილი M_3 კატეგორიის ავტობუსის გაჩერებების ადგილმდებარეობები).

აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განაპირობა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შემუშავებამ. როგორც უკვე ავღნიშნე №17-47 დადგენილების დანართი №2 გახდება ახალი დადგენილების დანართი.

თ.ისაკაძე - აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის 1-ლ მუხლში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, არ არის მითითებული თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი და თარიღი. შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პირველი მუხლის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის “ 19.355.474 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები, დანართის შესაბამისად“.

ამასთან, კომისიას აქვს რამდენიმე ტექნიკური სახის შენიშვნა დადგენილების დანართთან დაკავშირებით:

- №140 მარშრუტში ნაცვლად უნივერსიტატის ქუჩა უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის ქუჩა.
- №170 მარშრუტში ნაცვლად სავაჭრო ცენტრი „ისთ ფოინტი“ უნდა მიეთითოს სავაჭრო ცენტრი „ისთ ფოინთი“.
- №15 მარშრუტში ნაცვლად ანატოლი სოფჩაკის ქუჩა უნდა მიეთითოს ანატოლი სობჩაკის ქუჩა.
- №176 მარშრუტში ნაცვლად სავაჭრო ცენტრი „ისთ ფოინტი“ უნდა მიეთითოს სავაჭრო ცენტრი „ისთ ფოინთი“.
- №152 მარშრუტში ნაცვლად ნიკოფორე ირბახის ქუჩა უნდა მიეთითოს ნიკიფორე ირბახის ქუჩა.
- №11 მარშრუტში ნაცვლად ონა ვაკელის ქუჩა უნდა ეწეროს იონა ვაკელის ქუჩა.
- №175 მარშრუტში ნაცვლად ჯორ ბუშის ქუჩა უნდა ეწეროს ჯორჯ ბუშის ქუჩა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

5. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019)**

ვ.აბულაძე - ვინაიდან საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენილია ახალი დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ

საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, მოხდა დადგენილების 1[1] მუხლის ამოღება, ხოლო პირველი მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ვინაიდან დანართი №1 გახდა დანართი.

თ.ისაკაძე - აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის 1-ლ მუხლში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, არ არის მითითებული თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი და თარიღი. შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პირველი მუხლის ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 მარტის “ 19.354.475 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები, დანართის შესაბამისად“.

ამასთან, კომისიას აქვს რამდენიმე ტექნიკური სახის შენიშვნა დადგენილების დანართთან დაკავშირებით. კერძოდ, მარშრუტების მოძრაობის სქემებში:

- ჭაბუა ამირაჯაბის გზატკეცილის ნაცვლად, ორივე მიმართულებაში უნდა მიეთითოს ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი (მარშრუტის დისლოკაციის ადგილი: სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი);
- ბაღდადის ქუჩის ნაცვლად უნდა მიეთითოს რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა (მარშრუტის დისლოკაციის ადგილი: ,,ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-031908716-03; 28.03.2019) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე